



სახაზინო სამსახურის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში

2016 წელი

- სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის ბაზაზე ამოქმედდა გადასახადების ერთიანი სახაზინო კოდი. გაგრძელდა მუშაობა ხაზინის მთავარ წიგნში დეკლარირებული გადასახადების დარიცხვის მოდულზე და აღნიშნული მოდულის დახვეწა და მორგება ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით. აგრეთვე, საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან ერთად განხორციელდა პირველადი დოკუმენტების საფუძველზე, ხაზინის მთავარ წიგნში დარიცხვის მეთოდის შესაბამისად შემოსულობების და გადასახდელების აღრიცხვის ბიზნეს პროცესების ანალიტიკა. გარდა ამისა, 2016 წელს სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში შესყიდვების სააგენტოსა და ხაზინის სისტემას შორის საინტეგრაციო სერვისის გაფართოება განხორციელდა სამი მიმართულებით, კერძოდ:
 - ✓ სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში პრეტენდენტი ორგანიზაციების მიერ გადახდილ სატენდერო თანხებზე შესყიდვების მონაცემთა ბაზებთან ვებ სერვისის გამართვა, რისთვისაც შემუშავებულ იქნა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და გაშვებულ იქნა სატესტო რეჟიმში. აღნიშნული ფუნქციონალის რეალურ რეჟიმში ამოქმედება შესყიდვების სააგენტოს მიერ იგეგმება წლის ბოლომდე;
 - ✓ ხელშეკრულებების სტატუსების განახლება შესყიდვების ბაზიდან ხაზინის სისტემაში;
 - ✓ შესყიდვების გეგმის საერთო ჯამის ვალიდაცია ასიგნებებთან.
- საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების (IPSAS 13, IPSAS 19, IPSAS 22-24) მოთხოვნების გათვალისწინებით აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში შეტანილ იქნა ცვლილებები. გარდა ამისა, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, უცხოელი ექსპერტის მიერ მომზადდა IPSAS დეტალური სამოქმედო გეგმა (2017-2020), რითიც განისაზღვრა თითოეული სტანდარტის დანერგვის პერიოდულობა წლების მიხედვით. ამავე პროექტის ფარგლებში, IPSAS





სტანდარტებში ჩატარდა სემინარები როგორც მხარჯავი დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის, ასევე, სახაზინო სამსახურის ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის. მიმდინარეობს 2017 წლიდან დასაწერი სტანდარტების (IPSAS 1, IPSAS 5, IPSAS 9, IPSAS 14, IPSAS 16, IPSAS 36 და IPSAS 37) შესწავლა და ანალიზი არსებულ სააღრიცხვო სისტემასთან მიმართებით. გარდა ამისა, სახაზინო სამსახურის მიერ მომზადდა ტრენინგ-მასალები 2016 წელს დანერგილ IPSAS სტანდარტებში. სახაზინო სამსახურის მიერ, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, აღნიშნული სტანდარტებში გადამზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 400-მდე ბულალტერი. ამას გარდა, განხორციელდა 2017 წლიდან დასაწერი სტანდარტების (IPSAS 1, IPSAS 5, IPSAS 9, IPSAS 14, IPSAS 16, IPSAS 36 და IPSAS 37) შესწავლა და ანალიზი არსებულ სააღრიცხვო სისტემასთან მიმართებით. ანალიზის შედეგად მომზადდება ინსტრუქციაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც ამოქმედდება 2017 წლის 1 აპრილიდან.

- ფულადი სახსრების ეფექტური პროგნოზირებისა და მართვის მიზნებისათვის, განხორციელდა ფულადი სახსრების ნაშთების, შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ სხვადასხვა რეპორტების მომზადება/დახვეწა ხაზინის ელექტრონულ სისტემაში. აღნიშნული რეპორტების საშუალებით მოხდა ისტორიული მონაცემების დამუშავება და ანალიზი; მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომზადდა 2016 წლის შესაბამისი თვეების ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმები. კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა 2016 წლის შესაბამისი თვეების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება; ფულადი სახსრების ეფექტური პროგნოზირებისა და მართვის მიზნებისათვის განხორციელდა სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებებიდან სამომავლო ხარჯვის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა; 2016 წლის სექტემბრის თვეში, ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის დეპარტამენტის უფროსი მიწვეულ იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე, რომლის ფარგლებშიც დიდი ყურადღება დაეთმო ფინანსურ ბაზრებსა და მათში მონაწილე ინსტიტუტებს. კერძოდ განხილული იქნა სავალუტო და ფასიანი ქაღალდების ბაზრები, მათთან დაკავშირებული რისკები, ფინანსური დერივატივები (ფიუჩერსები, ოფციონები, სვოპები), ფინანსური ანგარიშგება, საინვესტიციო სტრატეგია და ფორტფელის მართვა.





აგრეთვე ფინანსური ინსტიტუტებისა და ბირჟების მუშაობის პრინციპები და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ფინანსური ბაზრების განვითარების მიმართულებით. ფულადი სახსრების ეფექტური პროგნოზირებისა და მართვის მიზნებისათვის, ფულის მართვის მექანიზმების და ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით, სახაზინო სამსახურს ეწვია უცხოელი ექსპერტებით დაკომპლექტებული ტექნიკური მისია. აღნიშნულმა მისიამ მოამზადა სტრატეგიის პროექტის სამუშაო ვერსია, რომელშიც განხილულია არსებული სიტუაცია, საუკეთესო პრაქტიკა ფულადი სახსრების მართვისა და პროგნოზირების კუთხით, ინვესტირების განხორციელების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები, ფინანსური ინსტრუმენტები, რისკების მართვის სტრუქტურა და ა.შ. სტრატეგიის პროექტის სამუშაო ვერსიის საფუძველზე მომზადდა ნორმატიული აქტის პროექტი, რომლის დამტკიცება იგეგმება 2017 წელს. გარდა ამისა, ფულის მართვის მოდულის ანალიტიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მიზნით, მომზადდა პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნებისა და მახასიათებლების სამუშაო დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ფულადი სახსრების ფინანსურ ინსტრუმენტებში განთავსებისათვის საჭირო პროცესისა და პროგრამული უზრუნველყოფის დეტალები. ამასთან, დღემდე მიმდინარეობს სათანადო საკანონმდებლო აქტ(ებ)ის მომზადება/დამუშავება, რომლითაც უნდა განისაზღვროს თავისუფალი ფულადი სახსრების, რისკების, ბანკების, ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმები;

- 2016 წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარეობდა მუშაობა ბიუჯეტების აღრიცხვა-ანგარიშგებების წარმოების დახვეწისა და სრულყოფისათვის. სახელმწიფო ხაზინა უკვე აწარმოებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვას, ანგარიშგებას და ანგარიშსწორებას, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის და სახელმწიფო ხაზინის სხვა სალარე და სავალუტო ანგარიშების მართვას, ოპერირებას და აღრიცხვას, ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხების დაბრუნებას, აღრიცხვას და ანგარიშგებას, სახელმწიფო ხაზინის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული თანხების აღრიცხვას, მართვას და ანგარიშგებას და სხვა. ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად მუდმივად ხდება აღრიცხვისა და ანგარიშსწორების პროცესის საოპერაციო ციკლის სრულყოფა და ოპერატიულობის გაუმჯობესება, ანგარიშგებების ფორმების დახვეწა და ახალი, უფრო ინფორმატიული ანალიტიკური ფორმების შემუშავება.

